

მნიშვნელოვანი მოვლენები/სიახლეები 2019

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“



ძირითადი დონორები 2019



„ელკანას“ წევრები



„კონფლიქტის ზონის მიმდებარე სოფელში ვცხოვრობ, სიმწიფეები ბევრია და შესაძლოა არც დავრჩენილიყავი აქ, რომ არა „ელკანას“ მხარდაჭერა: სწორედ ამ ორგანიზაციის დამსახურებაა, რომ დღეს 7 ჰა-ზე გამწვანებულ ბაღებში მომყავს სხვადასხვა ხილი - კეხურა ვაშლი, ატამი, ქლიავი, კენკრა“.

მარიკა ყანდორელაშვილი - ხილის მწარმოებელი (შიდა ქართლი, გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. სათემო). „ელკანას“ წევრი 1997 წლიდან და „ელკანას“ გამგეობის წევრი.

„როცა ისეთ ძვირფას პროდუქტებთან გაქვს შეხება, როგორცაა პური და ღვინო, დიდი სიყვარული უნდა გქონდეს - ხორბლისა და ვაზის ადგილობრივი ძველი ჯიშების აღდგენა და გამრავლება ეროვნული საქმეა და სწორედ ამ საქმეს მოვკიდე ხელი“.

ნოდარ ლატიბაშვილი - ხორბლისა და ღვინის მწარმოებელი (კახეთი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტი). „ელკანას“ წევრი 2016 წლიდან.



„ელკანას“ ხელშეწყობით ვაწარმოებ ბიოდვინოს, რომელსაც სახელიც შესაფერისი აქვს - „მართალი ღვინო“! კარგი ღვინის წარმოებისათვის აუცილებელია ადამიანების, ვაზისა და ღვინის სიყვარული“.

მიხეილ ბიწვინაშვილი - ქვევრის ღვინის მწარმოებელი (კახეთი, გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. შაშიანი). „ელკანას“ წევრი 2017 წლიდან.

„ბავშვობიდან მაინტერესებდა მეფუტკრეობა და საქმიანობა ფუტკრის ერთი ოჯახით დავიწყე, ახლა უკვე 100 ოჯახი მყავს. „ელკანასაგან“ ბევრი რამ ვისწავლე და სხვებსაც ვუზიარებ ამ ცოდნას - მუსხში და მის მიმდებარე მაღალმთიან სოფლებში სკოლის მოსწავლეებს მეფუტკრეობას ვასწავლი“.

ზაზა ივანიძე - მეფუტკრე (სამცხე-ჯავახეთი, ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფ. მუსხი). „ელკანას“ წვერი 2015 წლიდან.



„ელკანას“ ხელშეწყობით 2007 წლიდან დავიწყე ახალციხის წითელი დოლის, თეთრი დიკის, შავფხის, მახას, ზანდურისა და ჭვავის მოყვანა. მიმაჩნია, რომ კარგ საქმეს ვაკეთებ - ხელს ვუწყობ გადაშენების პირას მყოფი ჯიშების შენარჩუნებას და ნამატი პროდუქციის გაყიდვით ეკონომიკურ სარგებელსაც ვიღებ“.


ანზორ მაისურაძე - მარცვლეულის მწარმოებელი (შიდა ქართლი, ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნაბახტევი). „ელკანას“ წვერი 2005 წლიდან და „ელკანას“ გამგეობის წევრი.

„18 წელია ვენახს ვუვლი და ღვინოს ვაყენებ; ამდენივე წელია ვთანამშრომლობ „ელკანასთან“ და მისი ხელშეწყობით 2013 წლიდან უკვე სერტიფიცირებულ ბიოღვინოს ვამზადებ - დავაფუძნე ღვინის კომპანია და „არტევანის“ ბრენდით სამი მარკის წითელ ბიოღვინოს ვთავაზობთ მომხმარებელს: საფერავს, ქინძმარაულსა და ფიროსმანს“.

პაატა სარდალიშვილი - ბიოღვინის მწარმოებელი (კახეთი, ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ენისელი). „ელკანას“ წვერი 2000 წლიდან.



საერთაშორისო და ადგილობრივ ქსელებთან თანამშრომლობა



მნიშვნელოვანი მოვლენები/სიახლეები 2019

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება - კონსულტაციები, ტექნოლოგიური და ტექნიკური ხელშეწყობა

■ ბიო და UTZ/Rainforest Alliance-ის ჯგუფური სერტიფიცირების სისტემის წარმატება

რა

ასოციაცია „ელკანა“ ვანის, ზუგდიდისა და წალენჯიხის მეთხილე ფერმერებთან 2014 წლიდან მუშაობს თხილის წარმოების გაუმჯობესების ხელშეწყობისა და ბიო და UTZ/Rainforest Alliance-ის სტანდარტების შესაბამისად სერტიფიცირების მიმართულებით. 2019 წელს სერტიფიცირების ჯგუფში 703 ფერმერი იყო ჩართული 9 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივიდან. აღსანიშნავია, რომ ეს ამ ორი სისტემით სერტიფიცირებული პირველი ჯგუფია საქართველოში. 2019 წლის განმავლობაში: „ელკანას“ ექსპერტებმა ჯგუფში ჩართული



ფერმერებისათვის ბიო და UTZ/Rainforest Alliance-ის სტანდარტების შესაბამისად თხილის მოვლა-მოყვანასთან დაკავშირებულ 7 სხვადასხვა თემაზე 37 ტრენინგი ჩატარეს 4 მუნიციპალიტეტის 9 სოფელში, რომლებსაც ჯამში 588 ფერმერი დაესწრო (მათგან 29% ქალია).

მაგნებლებისა და დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებისა და, განსაკუთრებით, აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის ხელშეწყობის ფარგლებში „ელკანამ“ ჯგუფში ჩართულ 525 ბიოფერმერს გაუწია ტექნიკური მხარდაჭერა, რაც გულისხმობდა თითოეული ფერმერისათვის საპექტაროდ გამოყოფილი თანხის ფარგლებში მათთვის პრიორიტეტული საშუალებების უსასყიდლოდ მიწოდებას. ფერმერებს დაურიგდათ ფუნგიციდები, ბადის სეკატორები და ხერხები, შესაწამლი აპარატები და სხვა საბაღე ინვენტარი.

ჯგუფური სერტიფიცირების სისტემის წარმატებული მუშაობის შედეგად 703-მა ფერმერმა აიღო UTZ/Rainforest Alliance-ის სერტიფიკატი, ხოლო 73-მა - ბიოსერტიფიკატი ევროკავშირის რეგულაციების შესაბამისად (451 ფერმერი კონვერსიაზე), მათმა ნაწილმა კი პროდუქცია ფასნამატიტ გაყიდა სერტიფიცირებული თხილის რეალიზაციით დაინტერესებულ ევროპულ კომპანიაზე.

სად

ზუგდიდის, წალენჯიხისა და ვანის მუნიციპალიტეტების სოფლებში.

როდის

მარტიდან დეკემბრის ბოლომდე.



ტრენინგები ბიოწარმოების საკითხებზე

■ ტრენინგი - მცენარეთა დაცვის ბიომეთოდები

რა

„ელკანას“ ოფისში ჩატარდა სემინარი-დისკუსია თემაზე: „მცენარეთა დაცვის ბიომეთოდები და ბიოსაშუალებები ორგანულ სოფლის მეურნეობაში“, რომელსაც ესწრებოდნენ ბიოფერმერები, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების - „ტირიფონა 2014“-ის და „ნერგების“ წევრები, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, შპს „ბიოაგროს“ ექსპერტები, კომპანია „კოპერტის“ წარმომადგენლები. სემინარზე განხილულ იქნა მცენარეთა დაცვის სხვადასხვა მეთოდი, ტრადიციული და თანამედროვე ბიოსაშუალებები და პრეპარატები. „კოპერტის“ მოწვეულმა და ადგილობრივმა სპეციალისტებმა ქართველ ექსპერტებსა და ფერმერებს გააცნეს კომპანიის მიერ დანერგილი მცენარეთა დაცვის თანამედროვე ბიოტექნოლოგიები და მიმართულებები (მცენარეთა დაცვის ბიოსაშუალებები და ბუნებრივი დამამტვერიანებლები), მუშაობის პრინციპები და მიდგომები.



სად

თბილისი, „ელკანას“ ოფისი

როდის

8 თებერვალი

■ ტრენინგი - ბიოდინამიკური სოფლის მეურნეობა

რა

ასოციაცია „ელკანას“ ოფისში ჩატარდა ტრენინგი - ბიოდინამიკური სოფლის მეურნეობა. ტრენინგს ესწრებოდნენ დარგის სპეციალისტები, მეცნიერები, საზოგადოების დაინტერესებული წევრები, აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტები - სულ 40 პირი. ტრენინგზე განხილული იყო: ბიოდინამიკური



სოფლის მეურნეობის არსი და პრინციპები, სხვადასხვა მცენარეული და ჰომეოპათიური პრეპარატის დამზადება, კოსმიური მოვლენების გავლენა აგრო-ბიოცენოზზე, მარია თუნის „თესვის დღეების“ კალენდარი.

სად

თბილისი, „ელკანას“ ოფისი.

როდის

18-19 დეკემბერი

■ სემინარი - „ღვინის დაყენება ქვევრში“

რა

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ ახალციხის რეგიონულ ოფისში, სემინარების კურსის „მევენახეობა-მელვინეობა“ ფარგლებში, ჩატარდა პირველი სემინარი „ღვინის დაყენება ქვევრში“, რომელსაც ადგილობრივი დაინტერესებული ფერმერები ესწრებოდნენ. მათ მიიღეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია ქვევრში ღვინის დაყენების შესახებ, გარდა ამისა, გაეწიათ კონსულტაცია მევენახეობა-მელვინეობის დარგში მათთვის მნიშვნელოვან სხვა საკითხებზეც. მათი აქტიური მონაწილეობით კურსის ფარგლებში დაიგემა მათთვის საინტერესო მომდევნო სემინარების ფორმატი, თემატიკა და ჩატარების თარიღები.

სად

სემინარი ჩატარდა ქალაქ ახალციხეში.

როდის

5 დეკემბერი



■ ტრენინგები მეფუტკრეობის საკითხებზე

რა

ასოციაცია „ელკანას“ ექსპერტმა ჩაატარა ხუთი 2-დღიანი ტრენინგი შიდა ქართლის, კახეთის, აჭარის, რაჭისა და ხევის მეფუტკრეებისათვის. ტრენინგებზე საუბარი იყო მეფუტკრეობის საფუძვლებზე, ფუტკრის ოჯახების შემადგებლობასა და პროდუქტებზე, სკების სახეობასა და ფუტკრის დაავადებებზე. ასევე, ტრენინგმა მნიშვნელობასა და იმ მოთხოვნებზე, რომლებიც ტრენინგებს სულ 178 მეფუტკრე დაესწრო.



ყურადღება გამახვილა თაფლის ექსპორტის საექსპორტო პროდუქციამ უნდა დააკმაყოფილოს.



სად

შიდა ქართლში, კახეთში, აჭარაში, რაჭაში და ხევში.

როდის

მარტი, აპრილი, მაისი

■ ტრენინგები - სასათბურე მეურნეობაში ჩასატარებელი სამუშაოები

რა

ასოციაცია „ელკანას“ ექსპერტმა მცირე ბიზნესის განვითარების პროექტი 3-ის ბენეფიციარებს სასათბურე მეურნეობაში ჩასატარებელი სამუშაოების საკითხებზე 3 ტრენინგი ჩაუტარა. ტრენინგის დამსწრეებს მიეწოდათ ინფორმაცია სათბურის პირობებში ნამყენის გამოყვანის, კომპოსტის დამზადების, თესობისა და მულჩირების მეთოდების, შერეულ ნათესების წარმოებისა და მოვლის მეთოდების შესახებ. ტრენინგის მონაწილეებს დაურიგდათ სამახსოვრო ფურცლები ყველა საჭირო რეკომენდაციებით.

სად

გაიმართა 3 სოფელში: ქვემო შაქშაქეთში; ორთაშენსა და ნიგოზაში.

როდის

ტრენინგი ჩატარდა დეკემბერში.



სასოფლო-სამეურნეო მოდელები - თანამედროვე ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობაში

■ ვერმიკომპოსტის მეურნეობა კახეთში

რა

ასოციაცია „ელკანას“ ხელშეწყობით ფერმერ როინ ტერტერაშვილის მეურნეობაში მოეწყო ვერმიკომპოსტის სადემონსტრაციო მოდელი: აშენდა 60მ² ფართობის ნაგებობა და მოეწყო ვერმიფერმა; ფერმერს გადაეცა 20 კგ სადედე ჭიაყელების ოჯახი.



სად

მოდელი მდებარეობს კახეთში, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატანში.

როდის

მოდელი მოეწყო შემოდგომაზე.



■ სადემონსტრაციო საფუტკრისა და საწარმოს მოწყობა რაჭაში

რა

სადემონსტრაციო მოდელი - საფუტკრე მეურნეობა მოეწყო მანუჩარ გობეჯიშვილის მეურნეობაში. ფერმერს გადაეცა 25 ფუტკრის სკა ოჯახით (5 სხვადასხვა მოდიფიკაციით), ასევე, მეფუტკრეობის ინვენტარი: ციბრუტი, რეზერვუარები და მცირე აღჭურვილობა.

სად

სადემონსტრაციო მოდელი მდებარეობს რაჭაში, ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზნარაში

როდის

მოდელი მოეწყო შემოდგომაზე.

სხვა მომსახურება

მეურნეობა სასწავლო-სადემონსტრაციო ფუნქციასაც ასრულებს - ნებისმიერ დაინტერესებულ მეფუტკრეს შეუძლია ადგილზე გაეცნოს თანამედროვე



საფუტკრისა და მცირე საწარმოს მოწყობის თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ფუნქციონირებას.

■ სადემონსტრაციო საფუტკრისა და საწარმოს მოწყობა ყაზბეგში

რა

სადემონსტრაციო მოდელი - საფუტკრე მეურნეობა მოეწყო ნოდარ წამალაიძის მეურნეობაში. ფერმერს გადაეცა 25 ფუტკრის სკა ოჯახით (5 სხვადასხვა მოდიფიკაციით), ასევე, მეფუტკრეობის ინვენტარი: ციბრუტი, რეზერვუარები და მცირე აღჭურვილობა.

სად

სადემონსტრაციო მოდელი მდებარეობს ხევში, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ სიონში.



როდის

მოდელი მოეწყო შემოდგომაზე.

სხვა მომსახურება

მეურნეობა სასწავლო-სადემონსტრაციო ფუნქციასაც ასრულებს მეფუტკრეობით დაინტერესებულ ყველა პირს ექნება საშუალება ადგილზე გაეცნოს თანამედროვე საფუტკრისა და მცირე საწარმოს მოწყობის ტექნოლოგიებსა და ფუნქციონირების ეტაპებს.

■ ჟოლოსა და ვაშლის ბაღების გაშენების ხელშეწყობა



რა

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ ხელშეწყობით 8 ფერმერმა გააშენა ჟოლოს ბაღი სულ 0,40ჰა ფართობზე, ასევე, ორმა ფერმერმა გააშენა ვაშლის ბაღი სულ 0,22ჰა ფართობზე. „ელკანას“ კონსულტანტებმა ფერმერებს ჩაუტარეს თეორიული და პრაქტიკული კონსულტაციები როგორც ბიზნესგეგმის შემუშავების, ასევე ჟოლოსა და ვაშლის თანამედროვე ბაღების გაშენების, მოვლა-მოყვანის ბიომეთოდებისა და მოსავლის რეალიზაციის საკითხებზე. ბაღების გასაშენებლად მათ „ელკანას“ მეურნეობა „მარცვლეულის კიდობანში“ წარმოებული ჟოლოსა და ვაშლის

ნერგები უსასყიდლოდ გადაეცათ, ხოლო თანამედროვე წვეთოვანი სარწყავი სისტემა „ელკანას“ თანადაფინანსებით მოეწყო. ჟოლოს ინტენსიური ბაღის გაშენება სამცხე-ჯავახეთის რეგიონისთვის სიახლეს წარმოადგენს, ხოლო ვაშლის ბაღებს რეგიონში საუკუნეების ისტორია აქვს. ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მოსავლის რეალიზაციის კუთხით შექმნილი პრობლემების გამო რეგიონში ვაშლის ბაღების უმეტესობა გაიჩეხა, გარკვეული ნაწილი კი დაძველდა. ამიტომ ადგილობრივი ფერმერების ნაკვეთებზე ვაშლის ბაღების ხელახლა გაშენებისა და შენარჩუნების ხელშეწყობას, ასევე, ჟოლოს ბაღების გაშენების ტრადიციის დანერგვას, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.





სად

ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლებში: წნისი, კლდე, სვირი, ღრელი, ურაველი, წყორძა და ქალაქ ვალეში.

როდის

მარტი-აპრილი

■ მარცვლეულის კოლექციის თესვა „ელკანას“ საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთზე

რა

„ელკანას“ საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთ „მარცვლეულის კილობანზე“ დაითესა გადაშენების პირას მყოფი თავთავიანი მარცვლეული: ხორბალი (ჩელტა ზანდური, გვაწა ზანდური, მახა, დიკა, ჰექსაპლოიდური ზანდური, წითელი დოლი, შავფხა, მილიტინეა, ქონდარა ხორბალი), სვანური ჭვავი, შავი ქერი და სხვ. სულ 52 სახეობა და ჯიში.

სად

სამცხე-ჯავახეთში, ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფ. წნისში.

როდის

30 სექტემბერი

სხვა მომსახურება

გაზაფხულზე იგეგმება პარკოსნების: მამას, მუხუდოს, ცერცვის, ცულისპირას, ოსპის თესვა. ასევე დაითესება: ღომი, მახობელი და ზეთოვანი სელი.



ფერმერის დღე/სასწავლო-საინფორმაციო ტური - გამოცდილების გაზიარება

■ სასწავლო-საინფორმაციო ტური კახეთში

რა

კახეთში სამეგრელოდან ჩასული 20 ფერმერისათვის „ელკანას“ ხელშეწყობით მოეწყო 3-დღიანი სასწავლო-საინფორმაციო ტური. ტურის მონაწილეებმა ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატანში დაათვალიერეს ვერმიკომპოსტის საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთი, რომლის მფლობელი ნიადაგის ნაყოფიერების გასაუმჯობესებლად ორგანულ სასუქს აწარმოებს. ფერმერებმა ასევე დაათვალიერეს თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში მდებარე სადემონსტრაციო ნაკვეთი ქარსაცავით, სადაც მოწყობილია ოთხზოლიანი ქარსაცავი და დარგულია 340 ძირი მარადმწვანე იფნის, კვიპაროსის, ნეკერჩხლისა და თუთის ნერგები.

სტუმრებს ადგილზე ჩაუტარდათ ტრენინგი შესაბამის საკითხებზე. მათ მიიღეს საჭირო ინფორმაცია იმ თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მიდგომების შესახებ, რომლებიც სადემონსტრაციო ნაკვეთზე გამოიყენება.



სად

კახეთის სოფლები: მატანი და ვარდისუბანი.

როდის

23-25 იანვარი

■ სასწავლო-საინფორმაციო ტური დეკორატიული მებაღეობის კოლეჯის სტუდენტებისთვის



რა

ასოციაცია „ელკანას“ კონსულტანტებმა საპატრიარქოსთან არსებული დეკორატიული მებაღეობის კოლეჯის სტუდენტებისთვის საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვაზისა და ხეხილის სარგავი მასალის წარმოების ეროვნულ ცენტრში ჩაატარეს სავლელე სასწავლო ტრენინგი. სტუდენტები გაეცნენ ხეხილოვანი კულტურების სხვა-ფორმირების საკითხებს და მონაწილეობა მიიღეს გასხვლის პროცესში.

სად

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ჯიღაურა.

როდის

22 თებერვალი

■ სასწავლო-საინფორმაციო ტური აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის

რა

ასოციაცია „ელკანას“ კონსულტანტებმა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის 25 სტუდენტს ვერმიკომპოსტისა და კომპოსტის სამოდელო მეურნეობაში საველე პრაქტიკული ტრენინგი ჩაუტარეს. სტუდენტები გაეცნენ სადემონსტრაციო ნაკვეთის დაარსების ისტორიას, ბიომეურნეობის უპირატესობას, ვერმიკომპოსტის დამზადების პროცედურებს და ადგილზე ნახეს ჭიაყელების მიერ კომპოსტის გადამუშავების შედეგად მიღებული ორგანული სასუქი - ბიოჰუმუსი. თეორიული პრეზენტაციის დასრულების შემდეგ სტუდენტებმა, ჯგუფური მუშაობის ფორმატში, მოამზადეს და წარადგინეს პრეზენტაცია შემდეგ თემებზე: ბიოჰუმუსი, კომპოსტის დამზადება და ბიომეურნეობა.



სად

ქართლში, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კარალეთში.

როდის

2019 წლის მარტი

■ სასწავლო-საინფორმაციო ტური რაჭაში

რა

ასოციაცია „ელკანას“ ხელშეწყობით ჩატარდა 2-დღიანი სასწავლო-საინფორმაციო ტური კახეთის რეგიონის მეფუტკრე ფერმერებისათვის, რომლებიც ესტუმნენ რაჭას და მოინახულეს „ელკანას“ წვერი ფერმერების საფუტკრე მეურნეობები - მანუჩარ გობეჯიშვილის სადემონსტრაციო საფუტკრე და მცირე საწარმო, კოოპერტივ „რაჭის ნატურალური პროდუქტების“ თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი თაფლის საწარმო, რომელიც



თაფლის ექსპორტს ევროპის ქვეყნებში ეწევა. მეფუტკრეებმა ერთმანეთს საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს და „ელკანას“ კონსულტანტისაგან მეფუტკრეობის დარგში მათთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით პრაქტიკული კონსულტაცია მიიღეს.

სად

რაჭაში, ონის მუნიციპალიტეტში.

როდის

21-23 ოქტომბერი

■ ფერმერის დღე - კენკროვანი კულტურების საშემოდგომო აგროტექნიკა

რა

ფერმერის დღე სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, სოფელ წნისში ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ მეურნეობა „მარცვლეულის კიდობანში“ ჩატარდა. ღონისძიების მიზანი იყო ადგილობრივი დაინტერესებული ფერმერებისათვის პრაქტიკული კონსულტაციის გაწევა კენკროვანი კულტურების ბაღში შემოდგომით ჩასატარებელი აგროტექნიკური სამუშაოების შესახებ. ფერმერის დღეს ესწრებოდნენ რეგიონის ფერმერები. მათ დაათვალიერეს „მარცვლეულის კიდობანში“ არსებული სადემონსტრაციო მოდელი - ჟოლოს ინტენსიური ბაღი, რომელიც აღჭურვილია საყრდენი და წვეთოვანი სარწყავი სისტემებით, მიიღეს თეორიული და პრაქტიკული კონსულტაცია ჟოლოს ბაღში ჩასატარებელი საშემოდგომო აგროტექნიკური სამუშაოების შესახებ. გარდა ამისა, გაეწიათ კონსულტაცია მეკენკრეობის დარგში მათთვის საინტერესო სხვა საკითხებზეც. ღონისძიებამ წარმატებით ჩაიარა და მონაწილე ფერმერთა დიდი ინტერესი გამოიწვია, ვინაიდან სამცხე-ჯავახეთის რეგიონისთვის ჟოლოს ინტენსიური ბაღის გაშენება და მოვლა-მოყვანა სიახლეს წარმოადგენს.



სად

ფერმერის დღე ჩატარდა ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წნისში.

როდის

29 ოქტომბერს

■ ადგილობრივი სასწავლო ტურები

„ელკანამ“ შიდა ქართლის რეგიონში 4 ადგილობრივი სასწავლო ტური მოაწყო. ადგილობრივი სასწავლო ტურების მიზანი იყო თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის დეფიციტის აღმოფხვრა. ტურები მოეწყო მოწინავე მეურნეობებში, სადაც მონაწილეებმა მიიღეს კონსულტაციები და დაათვალიერეს სეტყვის საწინააღმდეგო თანამედროვე დანადგარებით აღჭურვილი ვაშლის ბაღები, ბლის თანამედროვე ბაღები, ქარსაცავები და ვერმიკომპოსტის მეურნეობა.

გაცვლითი ტურები მოეწყო ყველაზე მოწინავე მეურნეობებში/კოოპერატივებში. აღნიშნულმა ტურებმა ბენეფიციარების მხრიდან მეტად პოზიტიური შეფასება მიიღო. სულ სასწავლო ტურებში მონაწილეობდა 60 პირი - კოოპერატივების/ფერმერთა ჯგუფების წევრები.



სოფლად მცირე მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა

■ ტრენინგი - ბიზნესგეგმის მომზადება და საგადასახადო ორგანოებთან ურთიერთობა

რა

მცირე ბიზნესის განვითარების პროექტი 3-ის ფარგლებში პროექტის მონაწილე კონკურსანტებისათვის ჩატარდა ტრენინგები ბიზნესგეგმის მომზადებისა და საგადასახადო ორგანოებთან ურთიერთობის საკითხებზე. ბიზნესგეგმის მომზადების ტრენინგი გაიარა 143 პირმა, რომელთაგანაც მცირე ბიზნესი დაუფინანსდა 52-ს. დაფინანსებულ მეწარმეებს საგადასახადო საკითხებში ჩაუტარდათ ტრენინგი, რომელიც მიზნად ისახავდა ბენეფიციარებისათვის საგადასახადო და საშემოსავლო დეკლარაციების შევსების სწავლებას. ჩატარდა სამი ერთდღიანი ტრენინგი, რომლებსაც 39 დაფინანსებული მეწარმე ესწრებოდა. ტრენინგის დროს მონაწილეებმა შეავსეს და გაგზავნეს სავალდებულო წლიური დეკლარაციები. ტრენინგის შემდგომ პროექტის რამდენიმე ბენეფიციარი მეზობლებსა და ნაცნობებს დაეხმარა, რათა მათ დროულად შეევსოთ და გაეგზავნათ დეკლარაცია.



როდის

მარტი- აპრილი

■ ტრენინგი - შრომის უსაფრთხოება და რისკის შეფასება

რა

მცირე ბიზნესის განვითარების პროექტი 3-ის ფარგლებში პროექტის თანამშრომლებისა და ბიზნესოპერატორებისათვის შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობაში შესული ცვლილებების შესახებ 5 ტრენინგი და 17 ინდივიდუალური კონსულტაცია ჩატარდა. ტრენინგ-კონსულტაციების შემდგომ მომზადდა სპეციალური სამახსოვრო-საინფორმაციო ფურცელი, რომელიც პროექტის ყველა ბიზნესოპერატორს ინდივიდუალურად გადაეცა, რათა გაითვალისწინონ შრომის უსაფრთხოების, რისკის შემცირების მოთხოვნები და სტანდარტები.



სად

კასპის, გორის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში.

როდის

ივლისიდან სექტემბრის ჩათვლით

■ სემინარი - პროდუქტის განვითარება

რა

ასოციაცია „ელკანას“ კონსულტანტებმა ჩაატარეს საინფორმაციო სემინარი - პროდუქციის მომზადება ბაზარზე გასატანად. სემინარს ესწრებოდნენ ფერმერები, რომლებიც პროდუქციის დაფასოებით არიან დაინტერესებულნი. სემინარის მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია: პროდუქციის დამატებითი ღირებულების, ფასწარმოქმნის, დაფასოებისა და ეტიკეტირების საკითხებში.

სად

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალუბანში.

როდის

8 ნოემბერი

■ სოფლის მეურნეობის პროდუქტების ღირებულებათა ჯაჭვის პოტენციალის კვლევა ფშავში, ხევსურეთსა და გუდამაყარში

„ფიფლ ინ ნიდ“-ის (PIN) დაკვეთით პროექტის „არაგვის დაცული ლანდშაფტისა და მიმდებარე თემების მდგრადი განვითარება“ ფარგლებში ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ ექსპერტებმა გუდამაყარის, ფშავისა და ხევსურეთის სოფლებში ჩაატარეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ღირებულებათა ჯაჭვის პოტენციალის კვლევა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 60 პირმა. კვლევის კონკრეტული მიზანი იყო საწარმოო ჯაჭვის ანალიზი მეცხოველეობაში (მერძეული და მეხორცეული), მეფუტკრეობასა და მეთევზეობაში, ორგანული სოფლის მეურნეობის პოტენციალის შეფასება სამივე სამიზნე მხარეში, ასევე, ინოვაციური მოდელების მოწყობის შესაძლებლობები სამივე სამიზნე მხარეში. კვლევის შედეგების საფუძველზე მომზადდა რაოდენობრივი და თვისობრივი ანგარიში და შემუშავდა კონკრეტული რეკომენდაციები.



მერბევეობის სექტორში გეოგრაფიული აღნიშვნების განვითარება

- კონფერენცია - „საქართველოს სასურსათო მემკვიდრეობა: გზა წარმატებული გეოგრაფიული აღნიშვნებისაკენ“



რა

პროექტის „მდგრადი ღირებულებათა ჯაჭვის მხარდაჭერა რძის სექტორში გეოგრაფიული აღნიშვნების განვითარების გზით“ დახურვასთან დაკავშირებით გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (FAO) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა გამართა კონფერენცია - „საქართველოს სასურსათო მემკვიდრეობა: გზა წარმატებული გეოგრაფიული აღნიშვნებისაკენ“. პროექტი განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

სამინისტროსთან და ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ თანამშრომლობით და ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანასა“ და შვეიცარული ორგანიზაცია REDD-ის ხელშეწყობით.

კონფერენციაზე ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მწარმოებლებმა, საცალო ვაჭრობისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა განიხილეს და შეაჯამეს საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების განვითარების შესაძლებლობები და მიღებული გაკვეთილები ქვეყანაში გეოგრაფიული აღნიშვნების სრულყოფილი განვითარების სტრატეგიის გათვალისწინებით. კონფერენციაზე საჯაროდ დაჯილდოვდნენ სულგუნისა და თუშური გუდის ასოციაციები. ამასთან ერთად, კონფერენციაზე მოეწყო ვიდეოფილმის ჩვენება ქართული გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ, გაიმართა FAO-სა და National Geographic საქართველოს ფოტოკონკურსის მასალების გამოფენა და წარდგენილ იქნა ადგილწარმოშობასთან დაკავშირებული სასურსათო პროდუქტების ატლასი.

სად

Krtsanisi Residence, Tbilisi

როდის

19 November



■ ყველის ფესტივალი თურქეთში

რა

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანამ“ მონაწილეობა მიიღო თურქეთში გამართულ ყველის ფესტივალზე Anatolian Cheese Kars Meeting 2019, რომელიც ბოლო 5 წლის მანძილზე რეგულარულად იმართება საერთაშორისო ორგანიზაცია Slow Food-ის მხარდაჭერით. ფესტივალის მიზანია, ადგილობრივი დაცული ადგილწარმოშობისა და არტიზანული ყველის სახეობების პოპულარიზაცია და დაცვა. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ყველის გამოფენა-დეგუსტაცია, სადაც „ელკანას“ წევრმა ფერმერებმა ფართო საზოგადოებას წარუდგინეს ყველის სამი სახეობა: თუშური გუდა - დაცული ადგილწარმოშობის აღნიშვნა, წარმოების არეალი - თუშეთი, მწარმოებელი - გიორგი ქარსამაული; ტენილი ყველი - დაცული გეოგრაფიული აღნიშვნა, წარმოების არეალი - სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი, მწარმოებელი - რუსლან ინასარიძე; სულგუნი - დაცული გეოგრაფიული აღნიშვნა, წარმოების არეალი - საქართველო, მწარმოებელი - „შირაქი“.



სად

ქ. ყარსი, თურქეთი.

როდის

5-7 ივლისი



საზოგადოებასთან ურთიერთობა

■ ხილის ფესტივალი კახეთში

29 ივლისს კახეთში, ქ. გურჯაანში გაიმართა ხილის ფესტივალი, სადაც მოწვეული იყვნენ ხილის ადგილობრივი მწარმოებლები. ხილის ფესტივალზე ასოციაცია „ელკანას“ წევრებმა დამსწრე საზოგადოებას მრავალფეროვანი პროდუქცია წარუდგინეს: ატამი, ვაშლი, მსხალი, თუთა, საზამთრო. ლამაზად გაფორმებულმა სტენდმა და ხარისხიანმა პროდუქციამ საზოგადოების მოწონება დაიმსახურა.



■ მესაქონლეობის ექსპო - 2019



რა

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ლისის იპოდრომზე ჩატარებულ ღონისძიებაში „მესაქონლეობის ექსპო - 2019“, რომლის მიზანია მესაქონლეობის დარგის განვითარების ხელშეწყობა: მაღალპროდუქტიული საქონლის ჯიშის პოპულარიზაციისა და ადგილობრივი საქონლის მოვლა-შენარჩუნების გზით ფერმის პროდუქტიულობის ამაღლება. ასოციაცია „ელკანამ“ გამოფენაზე წარადგინა საინფორმაციო სტენდი და კონკურსში გამარჯვებულ პირველ და მეორე ადგილზე გასული ქართული ადგილობრივი ჯიშის - მეგრული წითელის პატრონს/ფერმერს გადასცა ვაუჩერი

როდის

26-27 ოქტომბერი



■ Slow Food-ის საერთაშორისო დღე „ელკანას“ ოფისში

რა

ასოციაცია „ელკანას“ ოფისში გაიმართა Slow Food-ის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - სუფთა, გემრიელი და მართალი სურსათის დეგუსტაცია. დეგუსტაციას ესწრებოდნენ „სლოუ ფუდის“ კონცეფციის მხარამჭერი მეწარმეების, სხვადასხვა ორგანიზაციისა და ფართო საზოგადოების წარმომადგენლები. ღონისძიების მონაწილეებს წარედგინათ დიკისა და წითელი დოლის პურის გამოცხობის მასტერკლასი. მათ აგრეთვე დააგემოვნეს ქართული კერძები: წითელი დოლის პური, დიკის პური, აჯიკა, ღომის ღომი, მეგრული ხარჩო, ინდაურის საცივი გურულად, ისპანახის ფხალი, ნიგოზი ნატურალური თაფლით. ასევე დააჭაშნიკეს რამდენიმე ქართული და უცხოური ღვინოც.

სად

თბილისი, „ელკანას“ ოფისი.

როდის

10 დეკემბერი



■ ასოციაცია „ელკანა“ პურის ფესტივალზე

12-13 ოქტომბერს თბილისში, საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში გაიმართა პურის ფესტივალი, სადაც ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანამ“ თბილისელებს წარუდგინა ინფორმაცია ხორბლის ქართული ჯიშების შესახებ და გაასინჯა ასოციაციის წევრი ფერმერების მიერ მოყვანილი ქართული ხორბლების - ახალციხური წითელი დოლისა და დიკის ფქვილისაგან ტრადიციული წესით, თონეში გამომცხვარი პური. ფესტივალის მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია ქართული ხორბლის ჯიშების ღირსებებისა და მისგან გამომცხვარი პურის სასარგებლო თვისებების შესახებ. სურნელოვანმა და გემრიელმა პურმა ფესტივალის სტუმრების განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა.



■ ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო კონფერენცია

ასოციაცია „ელკანას“ წარმომადგენლებმა 20-22 მაისს მონაწილეობა მიიღეს თბილისში, ექსპ-ჯორჯიას საგამოფენო სივრცეში გამართული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „საქართველოს ბიომრავალფეროვნების კვლევისა და კონსერვაციის მიღწევები და პერსპექტივები“ მუშაობაში და ხელი მოაწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს მცენარეთა კონსერვაციის ეროვნული ქსელის დაარსებასთან დაკავშირებით.

■ პეტიცია ბიოწარმოების ხელშეწყობის თაობაზე

5 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტმა განიხილა ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ მიერ მომზადებული პეტიცია ბიოწარმოების ხელშეწყობის თაობაზე, რომელსაც საქართველოს 1200-მა მოქალაქემ მოაწერა ხელი.

ასოციაცია „ელკანას“ დირექტორმა მარიამ ჯორჯაძემ აგრარულ საკითხთა კომიტეტის წევრებსა და სხდომაზე მოწვეულ საქართველოს გარემოსა დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებს მოხსენებით მიმართა და ილაპარაკა პეტიციის მოთხოვნებზე, მათ შორის, იმაზე, რომ ბიოწარმოების განვითარება შეუძლებელია სახელმწიფოს მწყობრი და ნათელი ხედვისა და სტრატეგიის გარეშე, რაც შესაბამის დოკუმენტებსა და პროგრამებში უნდა იყოს ასახული. კომიტეტის წევრებმა პეტიციის მოთხოვნების მიმართ მხარდაჭერა გამოხატეს და პეტიცია შესაბამისი რეაგირებისათვის გადაეცა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომელმაც კონკრეტულ ღონისძიებებთან დაკავშირებით კომიტეტს ერთი თვის ვადაში უნდა წარუდგინოს ინფორმაცია.



■ გავლენა პოლიტიკაზე

2019 წელს, „ელკანამ“, კოოპერატივებისა და ფერმერთა ჯგუფების ინტერესების დაცვის მიზნით, სოფლის მეურნეობისა და სოფლად განვითარების ალიანსს (GAARD) მიმართა ინიციატივით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრისათვის გაეგზავნათ მიმართვა. ალიანსმა მხარი დაუჭირა „ელკანას“ წინადადებას, რომ პოლიტიკის დოკუმენტის („ელკანას“ მიერ შემუშავებული) საფუძველზე მოემზადებინათ მინისტრისათვის გასაგზავნი მიმართვა, რომელშიც ასახული იქნებოდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების შემაფერხებელი ყველა ფაქტორი, აგრეთვე, რეკომენდაციები მათ აღმოსაფხვრელად. ერთობლივი მუშაობის შედეგად (განხილვები ონლაინრეჟიმში, რომლებიც ერთ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა) ეს დოკუმენტი

(რომელსაც ხელს აწერს 36 არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაცია) შემუშავდა და წარედგინა მინისტრს. სამინისტროს საპასუხო წერილში აღიშნულია, რომ აპირებენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანას და დაგეგმილი განხილვების დროს მიმართვაში არსებულ რეკომენდაციებს გაითვალისწინებენ.

■ რეგიონული კონფერენციები სომხეთში, საქართველოსა და მოლდოვაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ

2019 წლის 7 ივნისს სასტუმრო „შერატონ გრანდ მეტეხი პალასში“ ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანამ“, მოლდოვას აგრომწარმოებელთა ფედერაცია „ფარმთან“ და სომხეთის არასამთავრობო ორგანიზაცია „შენტან“ ერთად, გამართა რეგიონული კონფერენცია სახელწოდებით „სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია სომხეთში, საქართველოსა და მოლდოვაში“. კონფერენცია ორგანიზებული იყო პროექტის „მებაღეობა-მეზოსტნეობის ინკლუზიურ ღირებულებათა ჯაჭვის ხელშეწყობა სომხეთში, საქართველოში, ყაზახეთსა და მოლდოვაში“ ფარგლებში, რომელიც დააფინანსა სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდმა (IFAD).

პროექტის ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საკითხებზე რეგიონული კონფერენციები ასევე გაიმართა ერევანში - 3 მაისს და კიშინიოვში - 15 მაისს. კონფერენციების მიზანი იყო მაღალ დონეზე დიალოგის დაწყება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობის პოლიტიკის გაუმჯობესებისათვის. აღნიშნულ ღონისძიებებს ესწრებოდნენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, IFAD-ის, USAID-ის, EU-ისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სოფლის მეურნეობის დარგის ექსპერტები, 3 ქვეყნის კოოპერატივების წარმომადგენლები და პროექტის გუნდის დელეგაციები პარტნიორი ქვეყნებიდან.

ფორუმის სტრუქტურა 3 სესიისგან შედგებოდა: 1) პოლიტიკა და საკანონმდებლო ჩარჩო მონაწილე ქვეყნებში, 2) ეფექტიანი მეთოდები და ინსტრუმენტები ფერმერთა კოლექტიური საქმიანობის მხარდასაჭერად - სანიმუშო პრაქტიკების გაზიარება, 3) ბენეფიციარი კოოპერატივების მიერ წარმატებული ისტორიების პრეზენტაცია.

ფორუმებზე გამოტანილი იყო დასაბუთებული და მნიშვნელოვანი დასკვნა, რომ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები ეხმარებიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მცირე მეურნეობებს ეფექტიანობისა და კომპეტენციის ამაღლებაში, რესურსების მობილიზებაში, ხელს უწყობენ ცოდნისა და ინოვაციების გავრცელებასა და ფერმერთა უფლებების დაცვას. ამიტომ უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ფერმერთა გაერთიანების ხელშეწყობას“. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა იყო ის, რომ ფერმერების კოლექტიური საქმიანობის მდგრად განვითარებას არასდროს არცერთ ქვეყანაში არ ჰქონია კომპლექსური და ხანგრძლივი მხარდაჭერა. 3 რეგიონულ კონფერენციას ესწრებოდა 208 მონაწილე, მათ შორის - 74 ქალი. მოლოდავეთსა და სომხეთში გამართულ კონფერენციებს საქართველოდან ესწრებოდა 18 მონაწილე, მათ შორის იყვნენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები, კოოპერატივების წევრები, სოფლის მეურნეობის ექსპერტები და ასოციაცია „ელკანას“ წარმომადგენლები.



■ მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა ეკონომიკური განვითარებისთვის

ევროკავშირის ENPARD II-ის პროექტს „მოქალაქეთა ჩართულობა ეკონომიკური განვითარებისთვის (PROCEED)“ ახორციელებს HEKS/EPER საქართველო ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანასთან“ ერთად. პროექტის მიზანს წარმოადგენს სიღარიბის შემცირება კახეთის რეგიონის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში.

2019 წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში გამოცხადდა 2 საგრანტო კონკურსი. კონკურსის გამოცხადების შედეგად შემოვიდა საპროექტო განაცხადის დაახლოებით 135 კონცეფცია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 12 სოფლიდან. იმისათვის, რომ ხარისხიანი განაცხადები ყოფილიყო წარდგენილი, შერჩეული განაცხადების ავტორებს ჩაუტარდათ ტრენინგი თემაზე „საპროექტო განაცხადის წერის უნარ-ჩვევები“. საბოლოოდ, საგრანტო პროექტების განაცხადების კომისიამ და საბჭომ დააფინანსა 69 განაცხადი შემდეგ თემებზე: სოფლის მეურნეობა - 28, ბიზნესის დივერსიფიცირება - 24, ტურიზმი - 9, საგანმანათლებლო - 5, სოციალური - 3.

პროექტის მხარდაჭერით დაარსდა დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაცია, რომელიც აერთიანებს 30 ადგილობრივ დაინტერესებულ სუბიექტს ტურიზმის სფეროში. ასოციაციის ინტერნეტგვერდის მისამართია www.dtda.ge, ფეისბუქის გვერდი - <https://www.facebook.com/dtda.ge>. ორგანიზაციული განვითარების საკითხებზე ჩატარდა კონსულტაციები და შემუშავდა ლოგო. ასოციაცია აქტიურად მონაწილეობს ადგილობრივ გამოფენებსა და საინფორმაციო ტურებში, პოპულარიზაციას უწევს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს. ასოციაციასთან თანამშრომლობით შეიქმნა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტურისტული რუკა და ტურისტებისათვის საჭირო, მოგზაურობასთან დაკავშირებული ინფორმაცია განთავსდა ასოციაციის ინტერნეტგვერდზე.



■ დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში

დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში - საქართველო (SPPA-საქართველო) იყო 5 წლიანი (2014-2019) პროგრამა, რომელიც დაფინანსებული იყო კავკასიაში გერმანიის ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) მიერ.

პროგრამის აღმასრულებელი სააგენტო იყო საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, ხოლო პროგრამის განმახორციელებელი - დაცული ტერიტორიების სააგენტო. პროგრამის შემსრულებელ ჯგუფს (PIU) პროგრამის ეფექტიანად მართვაში მხარს

უჭერდა საქართველოს მთავრობა. პროგრამის შემსრულებელი ჯგუფი (PIU) წარმოადგენდა კონსორციუმს, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ გვა კონსალტინგ გრუპის წარმომადგენლობა საქართველოში, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ და SABUKO - ბუნების კონსერვაციის საზოგადოება (ყოფილი საქართველოს ფრინველთა კონსერვაციის საზოგადოება - BCG).

პროგრამის განხორციელებისას მოხდა თანხების ინვესტირება ყაზბეგის, კინტრიშის, ალგეთისა და ფშავ-ხევსურეთის დაცულ ტერიტორიებში და მათ პერიფერიებზე ან ანკლავებში არსებულ დამხმარე ზონებში, რომლებიც დაცულ ტერიტორიებზე პირდაპირ გავლენას ახდენენ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, მიწათმფლობელობის ან მოსახლეობის ტრადიციული მიწათსარგებლობის უფლების გამო.

პროგრამის მიზანი იყო ბუნებრივი რესურსებისა და დაცული ტერიტორიების მართვის გაუმჯობესება, შერჩეული ოთხი დაცული ტერიტორიის მხარდაჭერის უზრუნველყოფა და, იმავდროულად, მიმდებარე ადგილობრივი სასოფლო თემების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

პროგრამის საერთო მიზანი ეფუძნებოდა ორ თანაბრად მნიშვნელოვან, ურთიერთგამამდიერებელ კომპონენტზე:

1. ბუნებრივი რესურსებისა და დაცული ტერიტორიების მართვის გაუმჯობესება შერჩეულ დაცულ ტერიტორიებზე, სოფლის მოსახლეობის საარსებო საშუალებებზე ხანგრძლივი უარყოფითი ზემოქმედების გარეშე და
2. მიმდებარე სასოფლო თემების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ბუნებრივი რესურსებისა და ბიომრავალფეროვნების შემცირების გარეშე.

ალგეთის, ყაზბეგის, კინტრიშისა და ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის საარსებო საშუალებების გაუმჯობესების ხელშეწყობისა და პროგრამით განხორციელებული ინვესტიციების მდგრადობის უზრუნველსაყოფად შემუშავებულ იქნა სამი მიდგომა: მყისიერი დაწყების ღონისძიებები (QSM), ფინანსური თანამონაწილეობის მიდგომა (FPA) და ინდივიდუალური საპროექტო განაცხადები (IPP). პროექტის საწყის ეტაპზე გამოყენებული იყო მყისიერი დაწყების ღონისძიებები (QSM), რომელმაც ფართო და თვალსაჩინო გავლენისა და ადგილობრივ მოსახლეობაში ნდობის მოპოვების კომპონენტის როლი შეასრულა. მეორე წლიდან გამოყენებული იყო ფინანსური თანამონაწილეობის მიდგომა (FPA), ხოლო შემდეგ ეტაპზე - ინდივიდუალური საპროექტო განაცხადების მიდგომა (IPP).

ინვესტიციის მთლიანი მოცულობა სამივე მიდგომის (QSM, FPA და IPP) დასაწერგად ოთხივე დაცულ ტერიტორიაზე იყო 1,806,816 ევრო.

კონკურსების მეშვეობით განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციის მოცულობა იყო 919,528 ევრო, ხოლო მოსახლეობის მიერ შეტანილი წვლილი პირდაპირ ინვესტიციებში - 157,997 ევრო, რაც დაახლოებით 12%-ს შეადგენს. ბენეფიციარი შინამეურნეობების საშუალო რაოდენობა არის 8825 ერთეული - 53%, ზოგიერთ შემთხვევაში კი პროექტებიდან სარგებელი მიიღეს მთლიანმა სოფლებმა და თემებმა.



GFA - კონსალტინგ გრუპის წარმომადგენლობა საქართველოში

ფინანსური თანამონაწილეობის მიდგომა (FPA) ციკლის დანერგვა 2019 წელს

2019 წელს სამიზნე დაცული ტერიტორიების დამხმარე ზონებში განხორციელდა შემდეგი FPA აქტივობები:

- სოციალური პროექტების ერთი კონკურსი შატილის თემის სოფლებში, სოფელ შატილის გარდა, ფშავ-ხევსურეთის დაცულ ტერიტორიაზე;
- სოციალური პროექტების ერთი კონკურსი არხოტის თემის სოფლებში, ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიის დამხმარე ზონაში;
- ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე 18 მოსახლე არხოტის ხეობიდან და 24 მოსახლე შატილის თემის სოფლებიდან მონაწილეობდა 2019 წელს FPA კომპონენტის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებში. 42-ვე გამოცხადდა გამარჯვებულად.
- 2019 წლის შემოდგომაზე განხორციელდა ალგეთის ეროვნული პარკის, ყაზბეგის ეროვნული პარკის, კინტრიშის დაცული ტერიტორიისა და ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიის დამხმარე ზონებში 2018 წელს FPA კომპონენტის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების მონიტორინგი.



ინდივიდუალური საპროექტო განაცხადები (IPP) ციკლის დანერგვა 2019 წელს

შემუშავდა ინდივიდუალური საპროექტო განაცხადები და ფშავ-ხევსურეთის დაცულ ტერიტორიაზე, არხოტის ხეობის სოფლებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესყიდვაზე დაიხარჯა 35 943 ევრო. 2019 წლის აგვისტოში შეძენილ იქნა 2 ერთეული ტრაქტორი და ტექნიკა: 1 ერთეული სათიბი მანქანა, 1 ერთეული თივის საპრესი მანქანა, 2 ერთეული ტრაქტორის მისაბმელი თვითმცლელი; მოხდა მათი ტრანსპორტირება და თემისთვის გადაცემა.

არხოტის თემი პასუხისმგებელია ტრაქტორების შემდგომ მომსახურებასა და ექსპლოატაციაზე.

ადგილობრივ მოსახლეობას შესაძლებლობა აქვს, გაზარდოს პირუტყვის რაოდენობა და კარტოფილის მოსაყვანად განკუთვნილი ნაკვეთების ფართობი. სურსათი (ყველი, საქონლის ხორცი და კარტოფილი) გაიყიდება დუშეთისა და თბილისის ბაზრებზე.

პროექტის განხორციელების შედეგად 3-ჯერ გაიზარდა წარმოების მოცულობა და ხარჯები 35%-ით შემცირდა, რაც ადგილზე ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების წინაპირობა იქნება. მომდევნო წლებში დამუშავდება 20 ჰექტარი ფართობი და მოწეული იქნება 70-80 ტონა კარტოფილის მოსავალი. პირუტყვის ზამთარში გამოსაკვებად დამზადდება თივის 25-30 ათასი შეკვრა.



სოფლის ტურიზმი

■ ტრენინგი ფართო საზოგადოებისათვის

2019 წლის 8 თებერვალს თბილისში, ასოციაცია „ელკანას“ ოფისში სოფლის ტურიზმით დაინტერესებული ფართო საზოგადოების წარმომადგენლებისათვის ჩატარდა სემინარი - „სოფლის ტურიზმი“, რომელსაც დაესწრო 20 პირი. დამსწრეები გაეცნენ სოფლის ტურიზმის არსს, სოფლად ტურიზმის განვითარების პირობებს, ძირითად ტურისტულ შეთავაზებებს, მომსახურების ხარისხის სტანდარტებს, წარმატებული ტურისტული ბიზნესის მაგალითებსა და სხვ.





■ ორგანული სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარება მცხეთა-მთიანეთში

2019 წელს დაიწყო პროექტის „ორგანული სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარება მცხეთა-მთიანეთში“ (OART) განხორციელება თიანეთის მუნიციპალიტეტსა და უკანა ფშავში. პროექტის მიზანია ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პოტენციალის მქონე ღარიბ თემებში მოსახლეობის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა. პროექტის გუნდმა საწყის ეტაპზე შეხვედრები ჩაატარა თვითმმართველობისა და ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან, რომელთაც მიაწოდეს დეტალური ინფორმაცია პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების შესახებ. აგრეთვე, შეხვედრები ჩატარდა სამიზნე თემების მოსახლეობასთან. სულ თიანეთის მუნიციპალიტეტსა და უკანა ფშავში (დუშეთის მუნიციპალიტეტი) ჩატარდა 13 შეხვედრა, რომლებსაც ესწრებოდა 151 პირი, მათ შორის - 51 ქალი.



პუბლიკაციები




დაცული გეოგრაფიული აღნიშვნა
„სულგუნი“-
სავეფიკაცია

SPECIFICATION OF THE PROTECTED
GEOGRAPHICAL INDICATION
SULGUNI



დაცული ადგილწარმოების
დასახელება „თუშური გუდა“-
სავეფიკაცია

SPECIFICATION OF THE PROTECTED
APPELLATION OF ORIGIN
TUSHETIAN GUDA



ვიდეო:
<https://www.youtube.com/watch?v=0Qklsf6k0xU&t=4s>



ვიდეოები:

<https://www.youtube.com/watch?v=Q30WUkeOHlY>

<https://www.youtube.com/watch?v=SAONZYu4mZQ>

<https://www.youtube.com/watch?v=pbJSeW6ECIQ>

<https://www.youtube.com/watch?v=ApWeHpOEqw8&list=PLUe1X449vTtWlXp8ZjxbKb7igKDRigg>

<https://www.youtube.com/watch?v=d7NhVfpOe54&list=PLUe1X449vTtWlXp8ZjxbKb7igKDRigg&index=2>

https://www.youtube.com/watch?v=y_CpeUeTMr8&list=PLUe1X449vTtWlXp8ZjxbKb7igKDRigg&index=4

<https://www.youtube.com/watch?v=xy9Fms759Dw&list=PLUe1X449vTtWlXp8ZjxbKb7igKDRigg&index=3>

https://www.youtube.com/watch?v=fPTI_eubH60

წლიური შემოსავალი და ხარჯი

ვალუტა: ევრო

2019 წელი

საწყისი ნაშთი	227,667
შემოსავალი	
დონორები	
Brot fur die welt	242,715
EPER	237,525
IFAD	234,356
FAO	53,578
GIZ	20,807
ADA	450,000
Other	112,444
საწევრო შენატანები	1,276
შემოწირულობა	8,178
სხვა შემოსავალი	55,468
მთლიანი შემოსავალი	1,416,346

ხარჯები	
პროექტის ხარჯები	514,256
ინვესტიციები კოოპერატივებისთვის, თანადაფინანსება	63,647
ადმინისტრაციული ხარჯები	214,926
სხვა ხარჯები	78,336
მთლიანი ხარჯი	871,166

საბოლოო ნაშთი	672,847
---------------	---------

მარიამ ჯორჯაძე

დირექტორი

